

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
 ფაკულტეტი
 საბაკალავრო პროგრამა არქეოლოგიაში

პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის
 120 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: არქეოლოგია
 BA Archaeology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი ზვიად კვიციანი

პროგრამის ანალოგები:

<http://www.leidenuniv.nl/en/prospective/index.php3-c=29.htm>

<http://www.ucl.ac.uk/archaeology/ug/summary/BABScgen.htm>

http://www.le.ac.uk/ar/ug/ug_archaeology.html

http://www.gwu.edu/~anth/ugrad/BA_Arch.cfm

<http://www.humanities.manchester.ac.uk/undergraduate/courses/course/?code=00175&pg=all>

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის მიზანი:

მომზადოს არქეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების მცოდნე სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება კვალიფიციურად განსაზღვროს ნებისმიერი მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილება, მისი ზოგადი ადგილი საქართველოსა და მსოფლიო კულტურის სისტემაში; დაადგინოს კონკრეტული ნივთის და ძეგლის სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობა, მისი ზოგადი კულტურული ფასეულობა.

სწავლის შედეგი – იქნება ორგვარი: სამეცნიერო და პრაქტიკული. სამეცნიერო თვალსაზრისით კურსდამთავრებული მზად იქნება გააკეთოს სწორი არჩევანი სპეციალიალობაში მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად, მზად იქნება იმისათვის,

რომ გააგრძელოს არქეოლოგიურ დარგში მუშაობა ქვის ხანიდან გვიანი შუსაუკუნეების ჩათვლით. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. შესაბამისად,

დაიწყოს კონკრეტული არქეოლოგიური პრობლემების კვლევა საქართველოსა და გარე სამყაროს შორის არსებული კონტაქტების, მატერიალურ კულტურაში დადასტურებული ინოვაციებისა და სხვადასხვა სახის კულტურულ-ეკონომიკური

საკითხების შესასწავლად. პრაქტიკული თვალსაზრისით კურსდამთავრებულს შეეძლება მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პირველადი საექსპერტო შეფასება; ზოგადად განსაზღვროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისადმი დამოკიდებულების კანონიერება, ხელი შეუწყოს წარსულის ნაშთების პოპულარიზაციას.

სწავლის მოსალედნოლი შედეგი:

<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მომართულებით.</p>	<p>სწავლება, სწავლა და შეფასება</p>
<p>I. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>1.1 არქეოლოგიის საფუძვლების(ზოგადი არქეოლოგიის) ძირითადი პრინციპების საბაზისო ცოდნა</p> <p>1.2 არქეოლოგიის ძირითადი ტენდენციების ცოდნა</p> <p>1.3 არქეოლოგიური კვლევის პროცესების ძირითადი ტენდენციების საბაზისო ცოდნა</p> <p>1.4 მატერიალური კულტურის ნაშთის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება</p>	
<p>II პრაქტიკული უნარები</p>	
<p>2.1 სხვადასხვა სახის წყაროების მოპოვების (არქეოლოგიური ფონდები, არქივები, მუზეუმები) მათი დამუშავების, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისა და დაკვირვების უნარი:</p> <p>2.2 ფაქტობრივი მასალის ანალიზის, პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი შესაბამისი ცოდნის გამოყენებით:</p> <p>2.3 არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი:</p>	
<p>III ტრანსფერული უნარები</p> <p>3.1 ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით (ანალიზი და სინთეზი):</p> <p>3.2 მონაცემთა ინტერპრეტაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარი:</p> <p>3.3 დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს გეგმის შედგენის, პრიორიტეტების გამოყოფის უნარი.</p> <p>3.4 სოციალური უნარები</p> <p>3.5 საკომუნიკაციო უნარი</p>	

<p>სოციალური უნარები 3.10 ინტერპერსონალური და ჯგუფური მუშაობის ჩვევების გამომუშავება; ერთობლივ შესრულებულ სამუშაოზე სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გამოხატვა.</p> <p>სისტემური უნარები 3.11 ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი, პრობლემური საკითხის დამოუკიდებლად დასმისა და გადაჭრის უნარი.</p>	
--	--

დასაქმების სფერო :

ბაკალავრიატის კურსდამთავრებული მზადაა სიძველეთა პროფილის მქონე საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდური საქმიანობისათვის. მას შეუძია დასაქმდეს

- ექსპედიციებში სპეციალისტად.
- მუზეუმში სპეციალისტად.
- ბიბლიოთეკაში სპეციალისტად.
- მასმედიაში (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო რედაქციაში)
- არქეოლოგ-ექსპერტად.
- ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში.) სიძველეთმცოდნის ექსპერტად.
- არქივებში სპეციალისტად.

სწავლის გაგრძელების საშუალება

კურსდამთავრებული მზად იქნება სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა გაცილებით მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად, დაიწყოს არქეოლოგიურ დარგში მუშაობა ქვის

ხანიდან გვიანი შუსაუკუნეების ჩათვლით როგორც მაგისტრატურაში, ისე – მისი დასრულების შემდგომ - დოქტორანტურაში. მიაღწიოს ცოდნის იმ საერთაშორისო სტანდარტების დონეს, რომელიც აუცილებელია თანამედროვე სამეცნიერო კვლევების დროს, ხოლო შემდგომ კი დამოუკიდებლად აწარმოოს არქეოლოგიური საველე-გათხრითი სამუშაოები.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მესამე სემესტრი.

სტრუქტურა იხ. დანართი

ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭიროა სტუდენტმა დააგროვოს მთელი სასწავლო პროგრამის განმავლობაში 240 კრედიტი. კრედიტები შემდეგნაირად ნაწილდება:

- 120 კრედიტი - ძირითადი პროგრამა.

- 70 კრედიტი - სავალდებულო
- 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო)
- 40 კრედიტი - არჩევითი

სილაბუსები. იხ. დანართი

შეფასება:

შეფასების სისტემა ასქულიანია და ითვალისწინებს დისციპლინაში შემავალ ყველა კომპონენტს. თითოეული დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპონენტების პროცენტული განაწილება იცვლება. (იხ. დანართი)

მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება - 51 ქულა

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის 3 სრული, 9 ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო-კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

სტუდენტები ისარგებლებენ ინტერნეტით, ბიბლიოთეკით. ისინი პროფესიული მომზადების პროცესში პროგრამის პედაგოგებისაგან მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციასა და კონსულტაციას. უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტთა განკარგულებაშია რეგულარულად მოქმედი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა (არქეოლოგიური ძეგლები), ახლად მოპოვებული და მუდმივად შევსებადი არქეოლოგიური მასალა, პუბლიკაციების შესაძლებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებში (იტალია, გერმანია), კომპიუტერული ტექნიკა, თსუ-ს ბაზაზე ახლად ჩამოყალიბებული არქეოლოგიური ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით.

major

არქეოლოგია

minor

ეთნოლოგია

ხელოვნების ისტორია და თეორია

დამატებითი სპეციალობის პროგრამის დასახელება - არქეოლოგია

მიზანი მოამზადოს არქეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების მცოდნე სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება განსაზღვროს ძირითადი მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი არსი და ქრონოლოგია, მისი ზოგადი კულტურული ფასეულობა.

სწავლის შედეგი კურსდამთავრებული მზად იქნება გააკეთოს სწორი არჩევანი არქეოლოგიურ სპეციალობაში მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად, მზად იქნება იმისათვის, რომ გააგრძელოს არქეოლოგიურ დარგში მუშაობა. კურსდამთავრებულს შეეძლება მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პირველადი შეფასება. ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვალიფიციურ პოპულარიზაციას.

დასაქმების სფეროები კურსდამთავრებულს შეუძლია სამუშაო შეასრულოს სიძველეთა პროფილის მქონე და აგრეთვე, საგანმანათლებლო სახელმწიფო და არა სახელმწიფო დაწესებულებებში. დასაქმდეს ტურიზმის სფეროში.

სწავლის გაგრძელების საშუალება - კურსდამთავრებული მზად იქნება სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა გაცილებით მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად როგორც მაგისტრატურაში, ისე მისი დასრულების შემდგომ - დოქტორანტურაში. მიაღწიოს ცოდნის იმ საერთაშორისო სტანდარტების დონეს, რომელიც აუცილებელია თანამედროვე სამეცნიერო კვლევების დროს, ხოლო შემდგომ კი დამოუკიდებლად აწარმოოს არქეოლოგიური საველე-გათხრითი სამუშაოები.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობები საქართველოს ყველა აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის საფეხურის II-IV კურსის სტუდენტები